

იონე ჰაგნატიონი

ქაზთელ-კასეთის

ადწეზა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და
სამიებლები დაურთეს
თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა



თბილისი

1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

41



ქართული
საისტორიო მწერლობის
ძეგლები

V



მეცნიერება

მთავარი სარედაქციო კოლეჯია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჭიბლაძე.

სერიის რედაქტორი რ. კიკნაძე
ტომის რედაქტორი შ. ძიძიგური

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი რ. კიკნაძე
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი თ. უთურგაიძე

XVIII საუკუნის II ნახევრის თვალსაჩინო ქართველი მწიგნობრისა და საზოგადო მოღვაწის იოანე ბაგრატიონის ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“ მნიშვნელოვანი წყაროა ძველი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შესწავლისათვის. ნაშრომი იმედროულად შეიცავს მეტად სანდო ცნობებს XVIII საუკუნის საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გასათვალისწინებლად.

იოანე ბაგრატიონის ნაშრომში, ქართლ-კახეთის გარდა, აღწერილია საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი კუთხეები: ხევსურეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აგრეთვე, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების — დაღესტნისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის რეგიონები.

ტოპონიმებს უმეტესწილად დართული აქვს საისტორიო ხასიათის კომენტარები, აღნიშნულია გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძველი ფორმები, მითითებულია მოქმედია თუ „უშენია“ ესა თუ ის სოფელი, როგორია მათი ეროვნული შემადგენლობა და სხვ.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ქართული ონომატოლოგიის სპეციალისტთათვის, აგრეთვე, მკითხველთა ფართო წრისათვის.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.

2. აბრამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.), ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.

11. Якоб Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

14. მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზ ა ქ ა რ ი ა ა გ უ ლ ე ც ი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველომისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

24. ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა, თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.

33. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჯომია, თბ., 1986.

37. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследования и примечания М. М. Бердзнишвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	9
იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერის“ ენობრივი დახასიათება	20
ქართლ-კახეთის აღწერა (ტექსტი)	29
Резюме	85
საძიებლები	87
ა. გეოგრაფიულ სახელთა	87
ბ. პირთა	114
გ. საენობრივი	115

შესავალი

XVIII საუკუნის II ნახევრის გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, მეცნიერის, ლექსიკოგრაფისა და მწერლის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილის — იოანე ბაგრატიონის (1768—1830 წწ.) მრავალმხრივი შემოქმედება დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღებას იმსახურებს. მის მნიშვნელოვან შრომათა შორის საგანგებო ადგილი უჭირავს „ქართლ-კახეთის აღწერას“, რომელშიაც წარმოდგენილია აღნიშნული რეგიონისა და საქართველოს სხვა მომიჯნავე მხარეთა (დიდოეთი, ჩაჩნეთ-ინგუშეთი) 2300-მდე ტოპონიმი. ამ ნაშრომის ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ავტოგრაფული ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში S 3729 ნომრით. იგი დაწერილია სხვადასხვა ზომისა და ფერის დიდი ფორმატის ქაღალდზე (39X24) და შეიცავს (გვიან გაკეთებული არაბული პაგინაციით) 159 ფურცელს. ხელნაწერი წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომთა კრებულს, რომელშიაც შესულია: „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა...“ (2r—71v), „ბაგრატიონთა შთამომავლობა“... (76v—127r) და ჩვენთვის საინტერესო ნაშრომი: „ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა“ რომელიც იოანე ბატონიშვილს, როგორც თვითონვე გვამცნობს ტექსტის დასაწყისში, შეუსრულებია ორი მეფის — ერეკლე მეორისა და გიორგი XII დავალებით 1794—1799 წლებში. ამ ტექსტს ხელნაწერში 128—159 ფურცლები უჭირავს. გარდა არაბულისა მას აქვს ავტორისეული რვეულებრივი აღრიცხვაც (შეიცავს 3 რვეულს).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხელნაწერის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით ალ. ცაგარლის ნაშრომში, რომლის მიხედვით იგი დავით ჩუბინაშვილის საკუთრება ყოფილა¹ (მის კოლექციაში იგი 108 ნომრით არის აღნიშნული). ხელნაწერი განხილული აქვს მკვლევარ

¹ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, гл. 345.

ლ. ქუთათელაძეს², ხოლო აღწერილი — თ. ენუქიძეს³. ამას გარდა, არსებობს ამ ტექსტის რუსული ვარიანტი. იგი დაცულია ქ. ლენინ-გრადის გეოგრაფიული საზოგადოების არქივში*.

ტექსტი გამოკვლევით გამოქვეყნებული იყო 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტომონიმიკური ლაბორატორიის კრებულში⁴ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნორა კოტინოვას მიერ. გამოცემულ ტექსტს წინ უძღვის ზოგადი ხასიათის წერილი «იოანე ბატონიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ და ამ შრომის მნიშვნელობა ტომონიმიის შესწავლის ისტორიისათვის» (337—344 გვ.), რომელშიაც საუბარია იოანე ბატონიშვილის, როგორც აღორძინების ხანის გამოჩენილი ქართველი მწერლის, ენციკლოპედიური განსწავლულობის მქონე მკვლევრის, მთარგმნელისა და ცნობილი ლექსიკოლოგის შესახებ. ამას მოსდევს ტექსტი, რომელსაც ერთვის გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი შედგენილი დოკ. შუქია აფრილონიძის მიერ (პირთა და საგნობრივი საძიებლები შრომას არ ახლავს).

წერილობითი წყაროების გამოცემა ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საწინდარია ტექსტის მეცნიერული პუბლიკაცია. ეს კი განაპირობებს გამოკვლევების მაღალ დონეს⁵.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ზემოხსენებული ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი სათანადო მეცნიერულ დონეზე ვერაა მომზადებული და გამოცემული.

ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ მაგალითებს:

1. ხელნაწერს, გარდა გვიან გაკეთებული არაბული ციფრებით შესრულებული პაგინაციისა, აქვს ავტორისეული რვეულებრივი აღრიცხვა, როგორც ქართული ასოებით, ისე არაბული ციფრებით (ა, 1, ბ 2, გ 3). ხელნაწერის არასწორად აკინძვის გამო რვეულებრივი თანამიმდევრობა არეულია. პირველ რვეულს მოსდევს მესამე, ხოლო მესამეს — მეორე. ტექსტის გამომცემელს ყურადღება არ მიუქცევია რვეულებრივი აღრიცხვისათვის, რის გამოც არეულია ტექსტის თანა-

2 ლ. ქუთათელაძე, იოანე ბატონიონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომებ, I, 1959, გვ. 232.

3 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, 1967, გვ. 272—273.

4 ტომონიკა II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტომონიმიკური ლაბორატორიის კრებული, გვ. 337—424.

5 რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, 1982, გვ. 8.

* ЛГО, разряд 52, опис I, № 5.

შიმდეკრობა და ამდენად — რეგიონიც: ქართლის აღწერიდან გადავ-
დივართ კახეთზე, შემდეგ ისევ ქართლზე და ა. შ.

2. ცნობილია, რომ მთელ რიგ ხელნაწერებს გვერდის დამთავრე-
ბის შემდეგ მარჯვენა კიდეზე აწერენ მომდევნო გვერდის დასაწყისი
სიტყვის ნაწილს (ზოგჯერ ორ-სამ ასოს) ზოგჯერ მთელ სიტყვასაც,
რაც დამთავრებული გვერდის გაგრძელების მიმანიშნებელია, ამ ნაწილს
კუსტუსი ეწოდება. მოვიყვანთ კუსტუსის შეუნიშნაობისა და მისი მნი-
შენელობის გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომის მაგა-
ლით: ხელნაწერის 135v-ს ბოლო ნაწილი იკითხება ასე:

ქ. სარალი 2

ქ. არაფლუ

ქ. ახილმამული. აქ მთავრდება გვერდი და მომდევნო ფურც-
ლის დასაწყისი სიტყვა „ბეითალი“-დან გვერდის ბოლოს მიწერილია
კუსტუსი „ბეი“. გამომცემელმა ვერ შენიშნა, რომ ეს კუსტუსია და
იგი მიაწერა ახილმამულს, რის შედეგადაც მივიღეთ ტოპონიმი „ახილ-
მამულბეი“. ასეთი მცდარი წაკითხვითაა წარმოდგენილი ეს ტოპონიმი
საძიებელშიც.

3. გამომცემლის მიერ არასწორადაა წაკითხული ტექსტის შემდეგი
აღგილები:

ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი ა :

გ ა მ ო ც ე მ ა შ ი ა :

კეხვი

საგულე

ტვილიანი

გომელაური

კეშავა

ჩოქური

მერე

გორანა

ტომნისი

გნასური

კარბი

მერე

ლელისთავი

ძარი

კეხვი

ძარწემი

ძაბოეთი

ყურძენი

ვარძაგარა

კეზვი

საგულე

ტვილანი

გოგულაური

კეშავა

ჩოქერი

ბერე

მარანა

ტომნისი

გნასერი

კარამი

ვერე

ლელისთავი

გარი

ხეხვი

გარწემი

გაბოეთი

ყურძენი

ვარგაგარა

მუხრანა
აზბულადი
სურამის
ხინოწმინდელი
ბოგაძორი
ჯილიზი
დებედეს მდინარე
ახილ მამული
ენდრონიკიანთ ელი
თიუზი
ნოკორნა
ბოჭორმელები
მუხრანი
ალაგეზი

მუხრანი
აზბულადი
სურამის
ხინოწმინდელი
ბოკაგორი
ჯილზი
ლებედეს მდინარე
ახილმამულები
ენდრონიკიანთელი
თუზი
ნიკორნა
ბოჭორაძეები
მუხრახი
ალაგები და ა. შ.

4. გამომცემლის მიერ არაა ჩასწორებული ტექსტის დედნისეული შეცდომები.

ტექსტის დედანში
და კოტინოვას გა-
მოცემაში ა:

ვენანთ კარი
მუზალეთი
ფიტვი
თისრევი
სახლევახანი
გაურარხი
ბრეზა
ეძამი
ძვარეთი
აკანთერი
ნოგორნა
კუჭატანი

უნდა ჩასწორებულ-
იყო (სქოლიოში სათა-
ნალო მითითებით):

ვე(უ)ანანთ კარი
მუხალეთი
ფიტ(ა)ვი
თიხრევი
სასახლე ვახანი
გიაურარხი
ბრეძა
ეძანი
ზვარეთი
აკანათური
ნოკორნა
კუჭატანი და ა. შ.

5. გამომცემელი უყურადღებოდ ტოვებს ტექსტის ავტორის მიერ ხმარებულ ტექნიკურ ნიშანს — }, ან სწორ ხაზს |, ან კიდევ წყვეტილი ხაზებით მინიშნებული ტექსტის სხვა ადგილას ჩამატებას. მაგ.: ხელ-

ნაწერის 152r-ზე არის ქვეთავი „ქ. ქცის ხეობას რაც სოფლები მიეწერება...“ და ჩამოთვლილია: ... ქ. ჩალაბლუ

ქ. ნაჭუბადინი

ქ. ბაიღარი

ქ. ქურთი

ქ. ბეგლარი 2. ბოლო სამ ტომონიშს გაკეთებული აქვს ასეთი ნიშანი } და მიწერილია „იულონს თუს ეყოდა“. ეს კომენტარი ეხება— ბაიღარს, ქურთს და ბეგლარს (იხ. წინამდებარე გამოცემა გვ. 51). ნ. კოტინოვას გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება: „ჩალაბლუ, ნაჭუბადინი, ბაიღარი, ქურთი, ბეგლარი (2), (იულონს თუს ეყოდა),...“ გაუგებარია, რომელს ეკუთვნის ეს კომენტარი. ასეთი მაგალითები გამოცემაში მრავლადაა (იხ. 136r, 145v; 146v; 155r და სხვ.).

გარდა ტექსტოლოგიური შეცდომებისა, არც კვლევაა სრულყოფილი. ყველაფერი ეს ამ ტექსტს მეცნიერული გამოცემის პრეტენზიას უკარგავს. ტექსტის ხელახალი მომზადება ცალკე წიგნად არსებითად ამ ფაქტორებით არის გამოწვეული.

• • •

იოანე ბატონიშვილს თავისი ნაშრომი „ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა“, როგორც თვითონვე წერს, შეუსრულებიერეკლე და გიორგი მეფეების დავალებით 1794—1799 წწ. მის ამ ნაშრომს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „ქართლ-კახეთის აღწერა“, რამდენადაც აქ მთელი საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის სისტემატიზაციის ძალზე საინტერესო და საყურადღებო ცდა არის წარმოდგენილი. გარდა ქართლ-კახეთის აღწერისა, შრომაში მოცემულია პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიანეთის, დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის რეგიონები, ხოლო ნაწილობრივ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის, ასევე ახალციხის სანჯახად წოდებული ადგილები⁶. აგრეთვე ნუსხები სათიბი მინდვრებისა, მთებისა, წიაღისეული საბადოებისა (ეს უკანასკნელი სამეფო საკუთრებად ითვლება), საეპისკოპოსო ცენტრებისა და საძოვარი და სანადირო ადგილებისა.

„აღწერის“ ავტორი მკაცრად მისდევს მასალის აღნუსხვის რეგიონალურ პრინციპს.

სოფლები აღწერილია ხეობების (თემის, ტანის, გუჯარეთის, ქსნისა...), ხევების (მდულრის, ხვედურეთის, ძამის...) და მხარეების (ტფილისის, თრიალეთის, გარე კახეთის...) მიხედვით. სოფლებთან ხშირად

⁶ ამ ნაწილში უფრო მსხვილ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებებია წარმოდგენილი.

მიწერილია „შენია“ თუ „უშენი“, სახლობენ იქ თუ დაცლილია იგი. ზოგჯერ შიგ მცხოვრებთა ნაციონალურ შემადგენლობაზეც არის ცნობები. მაგ.: „თრუსოს ხეობა 8 სოფელი, მოსახლენი ოსნი“, „ამას მიეწერება პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგნარევიად ქართველნიც“, და ა. შ. მხარეებისა თუ ხეყების მიხედვით აღწერილ სოფლებზე დასაწყისშივე ხშირად მითითებულია, თუ რომელი წოდების წარმომადგენელს ან პიროვნებას ეკუთვნიან ისინი. მაგ., „ხეფინის ხევის სოფლები, რომელიც თს ეყოდა მირიან ბატონიშვილს სააზნაუროთი და საეკლესიოთი...“, „გვერდისძირზედ, რომელიც ქსნის საერისთაოს მიეწერებოდა და ესე ადგილნი და სოფელნი მეფის ძის იულონს ეპყრა, არიან შემდგომნი ესე...“, „ამასვე შეუდგების არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა, რომელნიც თს ეყოდა მეფის ძეს ვახტანგს...“ და ა. შ.

ხშირად ტოპონიმის ახალ სახელწოდებასთან მოცემულია ძველიც. ასე მაგ.: „მდუღრის ხევი აწ ხოვლის ხევიად წოდებული“, „ტანას ხეობა აწ ატენის ხეობად წოდებული“, „ალაღაჯი აწ ხოჯორნის ხეობად წოდებული“, „ფიფინეთი ანუ კარი“, „ჭაჭკანის ხეობა აწ ჭოჭკანად წოდებული“, „ლილო, სამეფო დაჩა აშკარეთად წოდებული“, „ხორნაბუჯი ანუ ჭოეთი, ძველი ნაქალაქევი“, „ანისი, ძველად დიდი ქალაქი“, „ყარაღაჯი, სამეფო სასახლე ზამთრის“ და ა. შ.

იოანე ბატონიშვილი შეძლებისდაგვარად აღწერს ჩაჩნეთ-ინგუშეთის მხარეს, დაღესტანსა და ყაბარდოს. ადგენს თითოეულ თემში მცხოვრებ ხალხთა რაოდენობას (კომლობისა და სულადობის მიხედვით), გვაწვდის ცნობებს მათ ტომობრივ და ეთნიკურ შემადგენლობაზე.

ავტორი აღწერის მასალას ხშირად ურთავს კომენტარს, რომელსაც გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს. მთელ რიგ სოფლებთან მითითებულია ცნობა მათი კუთვნილების შესახებ მაგ.: „სააბაშიო სოფლები“, „ქართლის სოფლები, რომლებიც საამილახვროს მიეწერება“, „სავაჩნაძო და საენდრონიკო სოფლები და ადგილნი“ და ა. შ. ხშირად ცალკეულ ტოპონიმს მეტად საინტერესო ცნობები აქვს მიწერილი. მაგ.: „ქ. დიდი შულავერი“ პატარა შულავერი — ესე თს ეყოდა ალექსანდრეს, მეფის ძეს და დროსა მეფის გიორგისასა ლეკის ჯარში რომ აღერია და მოყვანდა ტფილისზედ, მეფის ძის იოანეს წინაძლომითა რუსთა მხედრობათ რომ გაიმარჯვეს, ალექსანდრეც გაიქცა და არდა შეურიგდა მეფე გიორგის. ეს ორი შულავერი ჭილდოდ უბოძა თვისსა შვილსა მეფის ძეს იოანეს“ (146v). „ფშაველი, ესე თს ეყოდა ალექსანდრეს და ოდეს გაიქცა ალექსანდრე, მეფემ გიორგიმ ბაგრატს მისცა“; ან კიდევ: „ქ. თიანეთი და ამაში სახასო ადგილნი, რომელიც პირმშო ძე იქნებოდა მეფისა, იმისი იყო, ვიდრე გამეფებამ-

დე და მერე მის ნასლენიკს მიეცემოდა, ვ(ითარც)ა პირველ ეპყრა მამაჩვენს გიორგის მეფობამდინ და მერე ჩემს ძმას დავითს...”

ასევე საინტერესოა კომენტარი „ქ. ეს ლორე და ეს ბორჩალო მიხეილს და მათ ძმათ თუს ეყოდა. ქ. თუმცა მეფემ გიორგიმ მისცა მელიქ ჭიმშიდს ამ პირით: თუ იქ დასახლდებოდა, მოიხმარებდა იმ ადგილს, თუ არა და ისევ სამეფო იყო, არა ქონდა ველმწიფება გაყიდვისა“.

კომენტარებში დაწვრილებით არის ნაჩვენები, თუ რომელი სოფლები ეკუთვნით აღმასხან, ბაგრატ, თეიმურაზ. იოანე, იულონ და მირიან ბატონიშვილებს, „მეფის ჰსძალს“ — იოანე ბატონიშვილის მეუღლეს ქეთევანს და დავით ბატონიშვილის მეუღლეს — ელენე „სვიმონუენას“.

შრომაში მოცემულია საინტერესო ცნობები ირიგაციის შესახებ. ჩამოთვლილია სოფლები, რომლებიც ირწყვიან „მეჯვედის“, პატარა და დიდი ლიახვის წყლებით. ერთ-ერთ ადგილას მოხსენიებული აქვს ამოწყვეტილი ღაზნელის მამული. ესეც ცნობილი ფაქტია: ანდუყაფარ ამილახვარმა აზნაური ღაზნელები, მართლაც, ამოწყვიტა.

იოანე ბატონიშვილს ქართლ-კახეთის სოფლების აღწერისას გამოუყენებია როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროები. წერილობითი წყაროდან აღსანიშნავია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ხეობების მიხედვით შედგენილი ქართლ-კახეთის სოფლების ავტოგრაფული ნუსხა, რომლის ტექსტი⁷ უძღვის ვახუშტისავე ავტოგრაფულ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს ხელნაწერს; იგი დაცულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ ხელნაწერთა ფონდში 103 ნომრით.

სოფლების აღწერის ვახუშტისეული ავტოგრაფი მოთავსებულია 2 ფურცელზე (4 გვ.), თითოეულ გვერდზე 5 სვეტად წერილად მოცემულია ქართლ-კახეთის სოფლების ნუსხა.

თითოეული ხეობისა თუ მხარის სოფლების სახელწოდებას მარცხენა მხარეს არაბული ციფრებით უზის რიგითი ნომერი 1, 2, 3 და ა. შ., რომლებიც ყოველი ახალი ხეობისა თუ მხარის აღწერისას ისევ თავიდან იწყება. ტოპონიმის მარჯვენა მხარეზე დასმული არაბული ციფრები მხარეში თუ ხეობაში აღნუსხულ ტოპონიმთა რაოდენობას გვიჩვენებს. იოანე ბაგრატიონს არცერთი ამ ციფრთაგანი გადმოღებული არა აქვს. მას თავის აღწერილობაში ხეობისა თუ მხარის სოფლების აღწერის დამთავრების შემდეგ მიწერილი აქვს: „იქნა ჯამი“, „იქმნა ჯამი ამ სოფლებისა“ ან „იქმნა ჯამი ამ ხეობის სოფლებისა“.

⁷ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 190—208.

შეგრამ დაჯამებული არცერთი არ არის და, ამდენად, არც ციფრებია შითითებული.

ამ ორი ტექსტის შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ იოანეს სოფლების აღწერის ზუსტად 2/3 აღებული აქვს ვახუშტისაგან⁸. ამას გარდა, იოანეს თავის აღწერილობაში ვახუშტისაგან არ გადმოუტანია ტოპონიმები: ფუნგისი, ნაწრეტი, ჯარიაშენი, წაქვა, გდისი, ქანდარი, ზოშაგერმა, ქოთიში, ფანავარი, საბერეთი, ფალჩუხლუ, თელუ, არლუთაშვილი, ბაშბეუქიშვილი, ბორდაძორი, ჩალის უბანი და სხვ.

ამავე ნაწილში იოანეს ვახუშტის აღწერასთან შედარებით დამატებული აქვს ტოპონიმები: იკვი, კორხითი, კორინთლიანთ სოფელი, ტბა, ზაწევი, ჩანახჩი, ბაიდარი, ბეგლარი, პატარა მულანლო, ქოლაგირი, შეითანლუ, ფახრალუ, ჩარგალი, ბაჩალი და სხვ.

ჩვენი გამოცემის სქოლიოებში არ აგვისახავს ამ ორი ნუსხიდან ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული ტოპონიმები. მაგ., ნაციხარა — ნაციხარი, მინდორული — მინდორულა, წითლიური — წითლაური, მთიულთკარი — მთიულეთკარი, შანბიანი — შამბიანი, სათიხარა — სათიხარი, ქცხილვანი — ქრცხინვალი, ტკოცა — ტკოცი, ულუნბა — ულუმბა, კაკალათხევი — კაკალახევი, ციცქიური — ციცქაური, ჩილი — ჩრდილი, ყვერბილი — ყვერბლი, მუხრანა — მუხრანი, ჭრეში — ჭრეშა, ზანბალჩა — ზანბალჩი, მოლაყასუმე — მოლაყასუმა, მკერვლიანი — მკერვალიანი, ბედიყარი — ბედიყარა და სხვ.

ამ შეჯერების შედეგად იოანეს აღწერილობაში გასწორდა უამრავი ტოპონიმის მცდარი დაწერილობა. შეცდომათა წყარო უმრავლეს შემთხვევაში დედნის არასწორი წაკითხვაა. ვახუშტის მიერ აღწერილი სოფლების ნუსხის წაკითხვას მისი 1941 წ. გადმოცემის მიხედვით ვუთითებთ. გათვალისწინებული გვაქვს ის კორექტურული შეცდომები, რომლებიც გამოცემაშია გაპარული:

⁸ ვახუშტის ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის 1941 წლის გამოცემა იოანეს ტექსტის წინამდებარე გამოცემას ასე მიჰყვება:

1941 წ. გამოცემა:	წინამდებარე გამოცემა:
197—205	29—46
196—190	47—57
205—208 გვ. გვ.	64—72 გვ. გვ.

ჩვენი გამოცემის 58—63 და 72—84 გვ. მოთავსებული ტექსტები ვახუშტისთან არ არის.

ხელნაწერშია
(ცსსა 103):

1941 წ. გამოცემა-
შია:

ბაშბეუქისშვილი
ჩაყლაპონი
ყირბულახი
ყარაქლისია
აშულას სოფელი
შიბიშველი
კალდოვი
ქვაბევეანი
ანგრევეანი
მუტაისი
კოტრალაგელცი
კოია
საბუხარა
ციხე ბდავი
ზონკარი
კიმოთის მანი
საქობე

ბაშბეუქასშვილი
ჩაყლაპუნი
ყირბულახი
ყარაქლისია
აშულას სოფელი
შიბიშვილი
ვალდოვი
ქვაზევეანი
აგრევეანი
მუტაისი
ვოტრალაგელცი
კისია
საბუხარა
ციხე ბოდავი
ზონვარი
კინოთის მანი
საქობი

აქვე შევნიშნავთ, რომ ერთი ტოპონიმი „აშატურთ კარი“ (გვ. 201, ისროლის ხევის ბოლო სოფელი), საერთოდ გამოტოვებულია, ხოლო ვახუშტისეული ლაფსუსკალამი მაჩნანი (გვ. 205) დღევანდელი მაჩხა-ანი უნდა იყოს. ეს გარემოება გამომცემელს ვერ გაუთვალისწინებია.

იოანე ბატონიშვილის ხელნაწერში ზოგიერთ ცვლილებას მხოლოდ მას შემდეგ ვახდენდით, როცა ამა თუ იმ ტოპონიმის მცდარი დაწერილობა ეჭვს არ იწვევდა. ამ შემთხვევაში უპირატესობა ვახუშტის დედანს ენიჭებოდა, რამდენადაც იგი არის იოანეს „აღწერის“ ძირითადი წყარო. მაგ.,

იოანე ბატონი-
შვილის ხელ-
ნაწერშია:

ჩვენს გამოცე-
მაშია:

კარასანი
კაზაბაშენი
მარეკანი

კარსანი
კოზმანაშენი
მერეკანი

ბაკიწინი	ბოკოწინი
ჰაობის ხევი	ჰობის ხევი
მძორელი	მძორეთი
ნადავლეთი	ნადვალეთი
ბაკლიანი	ბაკულიანი და სხე. მრ.

ძირითადი სხვაობები ასახულია ჩვენი გამოცემის სქოლიოებში პირობითი ნიშნებით: იოანე ბაგრატიონის ხელნაწერი S 3693 — ნსხ. ვახუშტის აღწერილი სოფლების ნუსხა — V, ნ. კოტინოვას გამოცემა — K.

წერილობით წყაროებზე დაყრდნობით უნდა იყოს შედგენილი მასალები რაქა-ლეჩხუმისა და, განსაკუთრებით, სევანეთის შესახებ. ეს ნათლად ჩანს ტექსტიდან, რომელშიაც ვკითხულობთ: „ქ. შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე მთაში მოსახლე მთის კაცნი და რაც მთის კალთები მიეწერა კავკასიის მთას, პირაქეთ და პირიქით, ძველის წერილობით და მოთხრობითაც რაცხდენ 300 000 კომლსა კაცსა...“ ამ წერილობით წყაროებს ამჯერად ვერ მივაკვლიეთ.

მთის სოფლების ტოპონიმური მასალა იოანე ბატონიშვილს ჩაუწერია ზეპირი გადმოცემებით ადგილობრივი ინფორმატორებისაგან. აი, რას წერს იგი: „რომელნიც რომ მის მთის ხალხთ ბელადები იყვნენ და მოლები, მათის კითხვით და გამოძიებით რომელთაც დამაწერინეს: ყურბანამ, ნურამადმან, მუსამ, მოლამ, ალიმ და სხვათა წერილთა ბელადთა...“

იოანე საჩაჩნოს სოფლების აღწერისას გულისტკივილით შენიშნავს: „ესენი ვერ გვაცნობეს თუ რაოდენი ხალხია და ამისთვის ვერ აღვწერეთ“. ან კიდევ: „ვერც ეს გვაცნობეს რიგიან და არ აღგვიწერია, თუ რაოდენი კომლი არიან ანუ სოფელნი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს იოანეს ქართლ-კახეთის აღწერის რუსული ვარიანტი. იგი დაცულია ლენინგრადში გეოგრაფიული საზოგადოების არქივში. შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ეს ხელნაწერი ნამდვილად ამ ნუსხიდან არის თარგმნილი უცნობი პირის მიერ XIX საუკუნის I მეოთხედში. თარგმანს ამოწმებს კოლეჯსკის ასესორი პ. დ. ზაველეისკი. რუსულ თარგმანში არაა შესული „საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი...“ (გვ. 79—81). ამის შემდეგ ჩამოთვლილია ახალციხის მაზრა და სანჯახები (იხ. აქვე, გვ. 84).

ქართულისაგან განსხვავებით, რუსულ ხელნაწერში დაჯამებულია (ზოგჯერ არა ზუსტად) და მითითებულია ამ ხევეებში თუ მხარეში ჩამოთვლილი სოფლების რაოდენობა. გარდა ამისა, რუსული ვარიანტი ქართულისაგან დამატებით მთელ რიგ სოფლებთან იძლევა შემდეგ საინტერესო კომენტარებს: სადგერის ხეობის დიდი ნაწილი და სოფ-

ლები რენედან უფლისციხემდე* მეფეს ეკუთვნოდა; ველისციხე, ოფრეთი, ხოდაშენი, ქოლაგირი, სანავარლო, გუჯარეთი, კუქია, გავაზი და ქრცხინვალი — დედოფალს. მასვე ეკუთვნოდა ალი, რომელიც შემდეგ იულონ ბატონიშვილს მიეცა. ბეთარფაჩი — დავით ბატონიშვილს. სურამი — მირიან ბატონიშვილს. ნაზარას სოფელი — თეიმურაზ ბატონიშვილს; სოფელი ახალსოფელი (გორს რომ მიეწერება) — იულონ ბატონიშვილს, ახლა ამილახვრებს უჭირავთ. იულონსავე ეკუთვნოდა სოფლები საცხენისიდან — მალრანდოვლეთის ჩათვლით, ახლა ისინი ერისთავებს უჭირავთ. სამშვილდე — ალექსანდრე ბატონიშვილს ეჭირა, ახლა სახაზინოა. მანავი და ხიდისთავი — ფარნაოზ ბატონიშვილს. არაგვის მთის მხარის სოფლები — დაწყებული მთიულეთიდან კაიშაურთ კარამდე — ვახტანგ ბატონიშვილს. მასვე ეკუთვნოდა ჰევი არაგვისა კობიდან — საჯის სოფლამდე. ისინი ახლა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაა. წილკანი, მანგლისი და ურბნისი — თავთავიანთ მღვდელმთავრებს, რუისი — რუისის მიტროპოლიტს.

ვფიქრობთ, ამ ტექსტის თარგმნის მთავარი მიზეზი რუსული მმართველი წრეებისათვის მისი შინაარსის გაცნობა იყო.

იოანე ბატონიშვილის ამ ნაშრომში საკმაოდ ცოცხლად არის წარმოჩენილი XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური ყოფაცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები, ცნობები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ და სხვ.

ნაშრომზე თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელი ხდება, თუ როგორი რუდუნებითა და სიყვარულით უმუშავია „აღწერის“ შედგენაზე მის ავტორს. ისიც კარგად ჩანს, რომ იოანე უკვე გამზადებულ, დამთავრებულ ხელნაწერს რედაქციული თვალსაზრისით შემდგომაც მიბრუნებია. ხელნაწერში აქა-იქ გვხვდება ავტორისავე ხელით, სხვა ფერის მელნით შესრულებული გვიანდელი მინაწერები და გასწორება-დაზუსტებანი.

* ყველა ჩამოთვლილი ტოპონიმი იხ. წინამდებარე ტექსტში.

იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის“ ენობრივი დახასიათება

იოანე ბატონიშვილის ისტორიოგრაფიული ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“ ქართული საისტორიო გეოგრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. ფაქტიურად ესაა გაგრძელება იმ დიდმნიშვნელოვანი ღვაწლისა, რომელსაც გამოჩენილმა გეოგრაფმა და სწავლულმა ვახუშტი ბატონიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

ეპოქა, როცა იქმნებოდა იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერა“, აღსაესე იყო უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკური და სოციალურ-საზოგადოებრივი მოვლენებით. ეს იყო პერიოდი, როცა რეალობად უნდა ქცეულიყო საქართველოს სამეფო კარის, კერძოდ, ერეკლე II-ის პრინციპული მიზანსწრაფვა — სახელმწიფოებრივად დაქვეითებული და ეკონომიკურად მოშლილი ქვეყნის შემდგომი აღმავლობა-განვითარება. ძლიერი მეზობლის, პროგრესულად მზარდი სახელმწიფოს, ერთმორწმუნე რუსეთის პოლიტიკური მფარველობის ქვეშ წარემართა. ერეკლეს და მის მემკვიდრეს — გიორგი XII-ს, ბუნებრივია, აინტერესებდათ ჰქონოდათ უტყუარი და უახლესი ცნობები ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. საჭირო იყო იმის დაზუსტება-გარკვევა, თუ რომელი სოფელი შემორჩენოდა უამთა სიავეს და რომელი ქცეულიყო ნასოფლარად, რომელი იყო „მოსახლე“ და რომელი — „უშენი“, რამდენ სულს ითვლიდა ესა თუ ის ხეობა, თემი და ა. შ. საქართველოს სამეფო კარი უთუოდ დაინტერესებული იყო იმის შეტყობითაც, თუ იმეამად რამდენი კომლი ესახლა ჩვენი ჩრდილოეთელი კარის მეზობლების (ჩაჩნეთ-ინგუშეთი, ყაბარდო, დაღესტანი...) აულებში. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალება 1794—1799 წლებში წარმატებით შეუსრულებია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძეს, იოანე ბატონიშვილს, რის შესახებაც თვით ავტორი მოგვითხრობს თხზულების შესავალ ნაწილშივე: „დროსა მეფისა ირაკლისასა და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთათა... აღწერა მეფის ძემ იოანემან თჳსთჳსის ხეობით...“ (128რ). გარკვეული ადმინისტრაციულ-დემოგრაფიული თვალსაზრისის მიუხედავად, იოანე ბატონიშვილის ნაშრომი იმავდროულად ძალზე სანდო წყაროა XVIII ს. დასასრულის სა-

ქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისათვის; ძეგლი, უეჭველად, საყურადღებოა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

იოანე ბატონიშვილის ენა, შეიძლება ითქვას, ზუსტად ასახავს თავისი ეპოქის საერთო სულისკვეთებას და ვითარებას. თხზულების ავტორისათვის უკვე საბოლოოდაა წაშლილი გრამატიკული (ორთოგრაფიული) ნორმა, რომელიც ადრეულ საუკუნეებში ძალზე მწყობრი, მტკიცე სისტემით იყო ცნობილი, იოანე ბატონიშვილი თითქმის უკვე აღარ იყენებს ძველ მ, ჭ, ჭ გრაფემებს, რომელთაც იმ დროს მორფოლოგიური ღირებულება ფაქტიურად უკვე დაკარგული ჰქონდათ. რაც შეეხება ა, ე, ჭ, ჭ გრაფემებს, ისინი იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“, მართალია, გვხვდება, მაგრამ მათი ხმარების წესი აშკარად აღრეულია.

ვ: „შიოსუბანი და თ ვ თ მუხრანი (131r),
მაგრამ იქვეა:

„არაგვისა და ქსნისა და თ ვ ი თ მუხრანიანთ ბატონებისა საკუთარნი ადგილნი არიან“ (131r).

„რ[ომე]ლ[ნი]ც თ ვ ს ეყოლა მეფის ძეს ვახტანგს“ (132r),

„ქსნის ხეობა რ[ომე]ლიც თ ვ ის ეყოლა მეფის ძეს იოანეს“ (132v).

ვ: ამ ნიშნის ხმარებას ძველ ქართულ სამწერლობო ენაში დიდი და მყარი ტრადიცია ჰქონდა, რამდენადაც მას მორფოლოგიური ღირებულება გააჩნდა. შდრ. ერთი მხრივ ხელი და, მეორე მხრივ, კელი (ადამიანის ორგანო), ხმობა (ხმინობა) და ვმობა (ხის გავმობა) და სხვა. საშუალო-ქართულში, როგორც ცნობილია, აღნიშნულ გრაფემათა ხმარების წესი საგრძნობლად შეირყა, ზოგან კი საერთოდ მოიშალა. ანალოგიური ვითარება შეინიშნება იოანე ბატონიშვილის თხზულებაშიც. ასე, მაგალითად, თუ ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“...) ადგილთა სახელების მართლწერა ორთოგრაფიული თვალსაზრისით მკაცრად ნორმირებული იყო (წესისამებრ იწერებოდა: ვადა, ნაკიდური, კანდო, კევსურეთი, ლაგოდეჭი, კვედურეთი, ტაბაგმელა, კეფინის-კევი...), იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“ ეს ორთოგრაფიული ნორმა უკვე დარღვეულია, გვაქვს: ხადა (133r), ხანდო (132v),

ნახიდური (152v), ხევსურეთი: დიდი ხევსურეთი, ქვემო ხევსურეთი (140r), ლაგოდები (139v), ტაბახმელა (149v), ხეფინის ხევი (148r), ხვედურეთი (130r)... უფრო მეტიც: კ-არისა და ხ-ანის დაწერილობის წესი ერთ ტოპონიმშია (!) აღრეული: ტრადიციულად გვქონდა: კორკი, კორკები, იოანე ბატონიშვილის მიხედვით კი გვაქვს: კორხები (152r).

თითქოს ერთგვარი კანონზომიერება იჩინს თავს პოსტპოზიციური წყობის შებრუნებული რიგის ტოპონიმების მართლწერისას (კეშავა, კევი არავისა (133r), მაგრამ თხზულებაში საპირისპირო შემთხვევები აქა-იქ მაინც იძებნება.

მ-ს იოანე ბატონიშვილის „აღწერაში“ თითქმის აღარ ვხვდებით და თუ მაინც სადმე იჩინა თავი, მას მარტოოდენ არქაული სტილური „სამკაულის“ ფუნქციალა აკისრია: „ქ. ნადარბაზევის არგისის ხეობას რ ა მ ც ა სოფელი მიეწერება...“ შდრ. „რ ა ც სოფლები არიან აქა...“ (137v); კახეთს რ ა ც სოფლები მიეწერება“ (137r), „თიანეთის ხეობას რ ა ც სოფლები და ადგილნი მიეწერებიან... არიან ესენი...“ (137r); „ცხრაკარის ადგილს რ ა ც სოფლები მიეწერება დასავლეთის მხარეს, არიან ესენი...“ (138v); სხვათაშორის მეშველი ზმნა „არის“ თხზულებაში შეიძლება გვერდიგვერდ, ერთ წინადადებაშიც კი შეგვხვდეს როგორც არქაული, ისე თანამედროვე ფორმით:

„ქ. სუტია ა რ ს საჯაფარიძო ადგილი.. და ამ ადგილში... ა რ ის კომლი მცხოვრები 221“ (143v).

„ჯამი ამა ხეობისა ა რ ს ამდენი მცხოვრებნი კომლი“ (140v).

„ამათ ზემო კიდე ადგილნი: ილოეთი, ერთი ჯამათია, ა რ ს კომლი მცხოვრები მუნ 1504“ (140v);

მაგრამ:

„კალალენი ანუ კარატენი... ა რ ის მცხოვრებნი კომლი 1265“ (141r);

„ამას კიდე მიეწერება სხვა ხეობა, რომელიც ა რ ის ესე ბოდიხელნი... ტანდოელნი“... (141r).

ნებისმიერია (არანორმირებულა) იოანეს თხზულებაში ჭ გრაფემის ხმარების შემთხვევებიც. გვაქვს როგორც გუშლფარება, ქაათეთორისი, ქაბლოვანი..., ისე უმართებულოდ ხმარებული: ქაახვრელი მოსალოდნელი იყო ქვაჭურელი; ორთაშუა და სხვ. ძეგლში საერთოდ არ დასტურდება ჭ და მ გრაფემები. ჩანს, ამ ნიშნების გამოყენების საჭიროება იოანე ბატონიშვილისდროინდელ საქართველოში უკვე აღარ

იგრძნობოდა და პრაქტიკულად მათ წერის დროს აღარც იყენებდნენ.

თხზულების ავტორი ნებისმიერად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ახდენს არსებითი სახელის შეთანხმებას რიცხვში: „არის მცხოვრებნი კომლი 1207“ (141r); მაგრამ: „ესენი არიან კომლნი 1406“ (141v); „ესენი არიან მთლად კომლნი 2510“ (140v) და სხვა.

იოანე ბატონიშვილისათვის, ისევე როგორც იმ ეპოქის სხვა განმანათლებელ-მწიგნობართათვის, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის და, ამდენად, სუბიექტურია საზოგადო არსებით სახელთა, აგრეთვე ტოპონიმთა კუმშვა-უკუმშველობის საკითხი. ჩვენს ძეგლში შეიძლება გვერდივერდ შეგვხვდეს შემთხვევები, რომლებიც გეოგრაფიულ სახელთა კუმშვა-კვეცის რაიმე წესის არსებობასაც კი გამოგვარიცხვინებს: საკორინთლო, საამილახვრო, მაგრამ: საველოვანო, საერისთო. ასევე: სოფელით, გულამაყარის ხეობა, დილომის მინდორი, დაღისტანის მხარე, მაგრამ: ივრის ჰალა, ოკმის მინდორი, სარვნის ჰალა...

შეიმჩნევა წესი: თუ -ე ხმოვანფუძიან საკუთარ სახელს (გვარს) სადაურობის აღმნიშვნელი სა — ო აფიქსი დაერთო, მაშინ ბოლოკიდური -ე ხმოვანი წესისამებრ იკვეცება: სავაჩნაძო, საჯაფარიძო (სავაჩნაძეო, საჯაფარიძეო ფორმათა ნაცვლად). ასევე ერისთავ-სიტყვის ბოლო -ავ მარცვლი აუცილებლად იკარგვის, როდესაც იგი სა — ო აფიქსით არის წარმოდგენილი: არაგვის საერისთო, ქსნის საერისთო, რაჭის საერისთო. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმომავლობა — სადაურობის აღმნიშვნელი გვარები (კორინთელი, მაჩაბელი...) კარგავენ -ელ სუფიქსის ხმოვნით ნაწილს, როგორც კი მათ სადერივაციო აფიქსები დაერთვით: საკორინთლო, სამაჩაბლო (საკორინთელო, სამაჩაბელო მცდარი ფორმების ნაცვლად). ძეგლში აქა-იქ დიალექტური ფორმებიც გვხვდება: სხლები, სხლითი, სხალტბა, სხალნარი (შდრ. ერწოთიანეთის სოფელი სხლოვანი, ერთი მხრივ, და დღევანდელი, ოფიციალურად ნორმირებული: მსხლები, მსხალდიდი... ფორმები, მეორე მხრივ).

ვ თანხმოვანი ო ხმოვნის წინ ჩვეულებრივ იკარგვის: საარაგო სოფლები (შდრ. დღევ. საარაგო). საარაგო შინდისი (144r), რაჭის საერისთო (←საერისთეო) შდრ. „ერისთვიანთ მიეცა“... (145v)...

სოციალური ურთიერთობის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინებს: თ ე მ ა , ხ ე ბ ა , ს ა მ თ ა ვ რ ო... იოანე ბატონიშვილის თხზულებაში აქა-იქ ენაცვლება თურქული წარმომავლობის სიტყვები: „ჯამათი|| ჯამათი, სანჯახი, საბეგო, სახანო, მაზრა, საფაშო...

„ტელეტინი ერთი ჯამათია, ამაში მცხოვრებნი კომლი 415“ (141r); ტუხატელნიც ერთი ჯამათია“ (141v);

„ახალციხის... ადგილნი ანუ ხეობანი სანჯახად წოდებულნი“ (158r).

„ახალციხის მ ა ზ რ ა და ს ა ნ ჯ ა ხ ი ახალციხე (ქალაქი), ს ა ფ ა შ ო -ს ა ბ ე გ ო ე ბ ი აწყური, ოცხე ანუ აბაზ-ტურმა (შდრ. დღევ. აბასთუმან-ი)... არტაანი, მაჩახელი (შდრ. დღევ. მაჭახელი, მაჭახლის ხეობა)... მიერხევი (იმერხევი?), მესხეთი, შავშეთი, არტანუჭი (შდრ. ისტორ. არტანუჭი), ართავანისი“ (159r).

იოანე ბატონიშვილის თხზულება ენობრივი თვალსაზრისით, უთუოდ, ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. მკითხველს შესაძლებლობა აქვს თვალი გაადევნოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საინტერესო პროცესს. აქ გვერდიგვერდ განაგრძობს არსებობას არქაული „მუნ“ „არს“, „თუს ეყოდა“, „არღა“, „თუს ეყვის“... და უახლესი წარმოების ფორმები: „არის“, „გადმამხარი რაც სამეფოა“... „კახეთს რაც მთის ხეობები მიეწერება“... „რაც წვრილი სოფლები მიეწერება“... და სხვა მრავალი.

ენაში უკვე მყარად მოუქიდია ფეხი ბარბარზმებს, თურქული, აგრეთვე, რუსული ენიდან შემოსულ სიტყვებს თუ საწარმოქმნო მოდელებს: „ახალგორი — ყასაბა ქალაქი“ (133v), „ბეითალი დეგურჩები (დემურჩები?), შამალი, ყაიყოჯალის ყიშლები, რომელიც თუს ეყოდა მეფის ჰსძალს ქეთევანს, მეფის ძის იოანეს მეუღლეს... ამა ადგილში აწ სახლობენ ენდრონიკიანთ ელი, თულარად წოდებული“... (136r);

„შამშადილი... სრულიად თავისის ობით“... (136r);

„ყულარი თავისის ობაეებით ანუ სოფელით... მოლის ობა, ნაქალაქევი, დიდი შულავერი“ (155r).

ძეგლში ასევე ხშირად დასტურდება რუსული ენიდან შემოსული სიტყვები: „დაჩა“, „ნასლედნიკი“... „ქ. კოჯორი სამეფო აგარა ანუ დაჩა (141v); „თიანეთი და ამაში სახასო ადგილნი, რომელიც პირმშო ძე იქნებოდა მეფისა, იმისი იყო, ვიდრე გამეფებამდე და მერე მის ნასლედნიკს მიეცემოდა“... (137r);

„ქ. გურჯანი, ქ. ახთალა, რომელიც ეკუთვნის მეფის ჰსძალს, დავითის მეუღლეს ელენე სვიმონუნას“ (=სვიმონოვნას) (138v) და სხვ. მრ. ეს უკანასკნელი ფორმა რუსულიდან ქართულში ზეპირი გზით ჩანს შემოსული.

რაკი თხზულების ავტორისათვის უკვე მოშლილია ძველი ქართული ენისათვის ესოდენ ნიშანდობლივი მყარი ორთოგრაფიული ნორმა, ამიტომაც იგი აღარ მისდევს სიტყვათა ტრადიციული შემოკლების

(დაქარაგმების) წესებს. ძეგლში ძირითადად დაქარაგმებულია ფორ-
მაუცვლელი ზმნიზედური ან მაკავშირებელი სიტყვები, ზედა, კვალად,
რომელიც, ვითარმედ, ვითარცა, სრულიად... თუმცა ძალიან ხშირად
ისინი დაუქარაგმებლადაც არის ნახმარი:

„ქ. ამას შეუდგების კდ კიანეთის ხეობაცა“ (153r);

„ქ. ეცერის ხეობა თავისის სოფლებით ესე თეს ეყვის
დარიშკელიანს და ესე ადგილი უდიდეს არს სხვათა ზა,
რლშიც ითვლება კომლი კაცი 2652“ (143v);

„ქ. კორინთლიანთ სოფელი, რლსა ილტოზა ეწოდე-
ბა“...

„ქ. ქვემო სვანეთი, რლსა ეწოდების მელესი და ლაშ-
ხეთი... ესე არის საგელოვანო საერისთო“ (143v);

„ამასვე შეუდგების არავის საერისთოს სოფლები ვა-
კისა რლიც თეს ეყოდა მეფის ძეს ვახტანგს“ (131v).

„ქ. შავი ზღვისა ნაპირას და კავკასიის მთაში მსახლობ-
ნი ვდ არიან ესენი: ქ. პატარა აფხაზეთი, ქ. დიდი აფხა-
ზეთი, ქ. ალანეთი, ქ. ჭიქეთი, ქ. ზუხუა, ქ. ყარაჯი...“
(143v) მაგრამ:

„ქ. ტფილისს რომელნიც მიეწერებიან სოფელნი“
(128r);

„ქ. თეძმის ხეობა, რომლებიც შეუდგების ამათ“
(129r) და სხვ.

„ქ. ვერე და მისი ხეობა, რომელნიც არიან აკუ-
რისი, ბეთანია, ნახშირგორი (2), მწყნეთი... შავთა, ახალ-
სოფელი...“ (128r).

„ქ. ამასვე მიეწერება ლორის ხეობა, სადაცა მიმდი-
ნარეობს დებედეს მდინარე რომელიც არს სამეფო და
სათავადო, სააზნაურო და ეკლესიისა“ (155v) და სხვ.

როგორც მოსალოდნელი იყო, იოანე ბატონიშვილის საისტორიო
თხზულებაში აღრეულია სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა
ხმარების წესი. ამ თვალსაზრისით „ქართლ-კახეთის აღწერა“ ზუსტად
მიჰყვება წინამორბედი საისტორიო თუ ეკონომიკური ძეგლების ენობ-
რივ ტენდენციას: ჰსცხოვრებს, მაგრამ: არა ქონდა კელმწიფება,
(მდრ. ბატონისშვილს ჰქონდა (145v); მოყვანდა ტფილის-
ზედ... და სხვ.

ერთგვარობა არაა დაცული ვითარებით ბრუნვაში -მდე თანდე-
ბულის გამოყენებისას; გვაქვს როგორც ძველი შესართავადმდე,
გამეფებადმდე..., ისე ახალი წარმოების ნიმუშები: სამუხი-
ამდე, ხეობამდე... „აღწერაში“ აქა-იქ დადასტურდა მოქმედე-

მითი ბრუნვის ნიშნისეული -თ-ანის გამქლერების შემთხვევები -გან
თანდებულთან მეზობლობაში: „დიდიდგან მცირენი“, „ოციდგან ვიდ-
რე სამოცამდე“, თუმცა ანალოგიურ პოზიციაში ყრუ -თ თანხმონის
გაუმქლერებლობის შემთხვევებიც გვაქვს.

იოანე ბატონიშვილის მეტყველებაში, შეიძლება ითქვას, შეზა-
ვებულ-შერწყმულია ძველი და ახალი ქართული ორთოგრაფიული ნორ-
მები. ასე, მაგალითად, რთული შედგენილი რიცხვითი სახელები „აღ-
წერაში“ წარმოდგენილია როგორც უძველესი ფორმით „ოცდაათთხ-
მეტი ათას ორას ოთხმოცდასამი“, ისე ახალი ნორმის მიხედვით
„ორას სამოცდა თოთხმეტი ათას ორას სამოცდაოთხი სული“
(159r).

იოანე ბატონიშვილის თხზულებაში პირობითად შეიძლება ორი
სამეტყველო სტილი გამოვყოთ — ოფიციალური, ერთგვარად ამალე-
ბული, ნორმირებული და სასაუბრო, ყოველდღიურად საურთიერთო,
„საჯარო“ სტილი. პირველის ნიმუშად გვეჩვენება:

„ქ. შატაკის სოფელი ესე თჳს ეყოდა ალექსანდრეს
ლეთის მხარეს რომელიც სოფლები მიეწერება, არიან ესე-
ნი... სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო“ (149v);

„წელსა 1794 და 1779-ში დროსა მეფისა ირაკლისასა
და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთათა აღწე-
რილი სოფლები...“ (128r);

„ქ. დილომი და მისი ხევი მოსახლენი მეფის ძეს
იულონს თჳს ეყოდა“ (იქვე);

„ქ. ტანის ხეობა, აწ ატენის ხეობად წოდებული...“
(129r);

„ქ. ხანდო მცირე ხეობა არს, ამას აქუს სოფელი ცხრა,
შენნი“ (132v);

„ქ. ახალგორი ყასაბა ქალაქი მოსახლენი...“ (133v);

„ხოლო უშენი ადგილნი მთის კერძოდ არიან ვიდრე
ოცდახუთამდის“ (136v);

„იქმნა ჯამი შენისა და უშენისა სოფლისა...“ (128v).

სასაუბრო, „საჯარო“ მეტყველება უმალ იჩენს თავს, როცა იოანე
რომელიმე სათავადასავლო ამბის მოყოლას იწყებს. თხრობის ტონი
აქ უშუალო და უბრალო ხდება:

„ქ. შატაკის სოფელი ესე თჳს ეყოდა ალექსანდრეს,
მეფის ძეს და დროსა მეფის გიორგისასა ლეკის ჯარში რომ
აღერია და მოყვანდა ტფილისზედ, მეფის ძის იოანეს წინა-
ძლომითა რუსთა მხედრობათ რომ გაიმარჯვეს, ალექსან-

ღრეც გაიქცა და არღა შეურიგდღა მეფე გიორგის, ეს ორი შეღავერი ჳიღღოდ უბოძღა თვისსღა შეიღსღა მეფის ძეს იოღნეს“ (155r);

„ეს ლორე დღა ეს ბორჩღლო მიხეიღს დღა მათ ძმათ თეს ეყოღღა, თუმცღა მეფემ გიორგიმ მისცღა მეღიქ ჳიმშიღს ამ პირიღ, თუ იქ დღსღხღღებოღღა, მოიხმღრებღღა იმ ადღიღს, თუ არღ დღ ისე სღმეფო იყო, არღ ჳონღღ კეღმწიღფებღ გღყიღვისღ“ (155v);

„პირვეღ უღმს, მცხეთის ჳღღღობის დღროს, რომეღიღც სოფღები მიეწერებოღნენ ჩღდიღოეთის კერძო... სღმუხღრღნოზღედ ითვეღბღ...“ (131r);

„რომეღნიღც რომ მის მთის ხღღხთ ბეღღღები იყუნენ დღა მოღღები, მათის კითხვით დღა გღმოძიებოთ, რომეღღღაღც დღამღწერიღნეს ყურბღნღმ, ნურმღმღდმღნ, მუსღმ, მოღღმ აღღიმ დღა სხვღთღ წვღრიღღთღ ბეღღღღთღ, არიღნ ესენი...“ (140v);

„ქეთევეღნ ბღტონიშვიღს ჳქონღღღ ეს, ახღღა ერისთვიღნთ მიეცღღ დღ ამ სოფღღის მღგიერი დღიღომი მიეცღღ ბღტონიშვიღს ჳეთევეღნს“ (145v);

„ქ. სვერს რღც უკღნ სოფღღები მოებმის დღ მიეწერებღ ესეცღღ ლიღხვის ხეობღს... არიღნ ესენი“ (146r) დღ სხვღ მრღვღღღი.

როგორც ზემოთ ითქვღ, იოღნე ბღტონიშვიღღის „ქართღ-კახეთის აღწერიღ“ ძღღზე სღყურღღღებო მეცნიერიღული ნღშრომიღ. მღსში წღრმოღღღენიღღი ტოპონიმიბის ანღლიზი, კერიძოღ, ენათმეცნიერიღული თვღღსღზრიღსოთ შესწავღღ, სღისტორიო გეოგრაფიის არღერთ მნიშვნეღოვღნ სღკითხს გღგვარკვევიღნებს. ასე, მღგღღიღღღ, ბორჯომის ხეობღში შემღვღღღ სოფღღებს შორის დღღეს აღღარ გვხვღღღბღ ვღრღღის სოფელი, რომეღიღც იოღნე ბღტონიშვიღღს ციხისჯვღრსღ დღ ფღფღს შორის აქვს დღსღხეღღებუღღი (149r). დღღეს აქ სოფელი ვ ლ რ გ ი ნ ე თ ი დღსტურღღბღ. ეტიმოლოგიურღღ ვღრღღინეთი ფღრღვეს ძვეღ ვღრღღის სოფელს, რღმღღენღღღღც ვღრღღინეთი, ჩვენი აზრით, წღრმოღღღღენს „ვღრღღის სოფელიღს“ ოსურ თღრღმღნს. ვღრღღი-ღინღღღვღრღღი-ჯინღღ „ვღრღღოვღნი აღღიღი“ „აღღიღი, სღღღღ ბევერი ვღრღღი (მინღღვრის ვღრღღი, ასკიღღი?) ხღრღღს“. როგორც ჩღნს, ტოპონიმი ვღრღღის სოფელი აქ მოსუღ ოსურ მოსღხღღეობღს თღვის მშობღღოურ ენღზე გღღღღუტღნიღ დღ უკვე ეთ სუფიქსის დღრთვით ვღრღღინეთ-ღღ (←ვღრღღი-ღინ-ეთ-ი) უქცევიღ.

გურჯღღღნის რღიოღნში ცნობიღღიღ სოფელი კღრღღღღღღი. ამ ტოპონიღმის შინღღღრსობრივი მხღრე დღბნეღღებუღღიღ. მის ეტიმოლოგიურ „გღღღიღღრღღღი“ დღღღღ გვიწყობს ხელს იოღნე ბღტონიშვიღღის „აღწერიღში“ დღღღსტურღღებუღღი ტოპონიღმის უძვეღღესი ფორმღ „კღრღღღღღღი“. სხვღთღ

შორის ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც თავისი სოფლის სახელწოდებას წარმოთქვამს როგორც კარდენახი და არა კარდანახი. კარდენახი კი, ჩვენი ფიქრით, კ ა რ თ ვ ე ნ ა ხ ი-საგან უნდა მომდინარეობდეს თ-ს დ-ონად გამჟღერებისა და ვ-ინის ჩავარდნის გზით: კ ა რ თ ვ ე ნ ა ხ ი → კ ა რ დ ე ნ ა ხ ი → კ ა რ დ ე ნ ა ხ ი. როგორც ვხედავთ, ტოპონიმის ძველმა ისტორიულმა ორთოგრაფიულმა სახემ სახელწოდებაში ჩადებული შინაარსი გაგვარკვევინა. ანალოგიური ფაქტების დასახელება კიდევ არაერთის შეიძლება.

წინამდებარე მიმოხილვაში ჩვენ იოანე ბატონიშვილის თხზულების ენის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს მივაქციეთ ყურადღება, დაინტერესებული და დაკვირვებული თვალი კი ამ ნაშრომში უფრო მეტ საინტერესო მომენტს შეამჩნევს და ჩვენი დიდებული წინაპრის ღვაწლნამაგსაც პირუთვნელად დააფასებს.

ქართლ-კახეთის აღწერა

128r

წელსა 1794 და 1799-ში*

